



შირაკი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან
დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№23 (10.031)

2-9 ივლისი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

საველე ოპერაციების უტახი დადოფლისწყაროში



შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა თემურ მღვრიშვილმა დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული საველე ოპერაციების უტახი მოინახულა და მხანძრე-მსხველპლებს მადლობა გადაუხადა.

კახეთში სახანძრო-სამაშველო ეკიპაჟების მობილიზება მარცვლეულის ალების პროცესს უკავშირდება, რასაც ხშირ შემთხვევაში მინდვრის ხანძრები ახლავს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის ხანძრების პრევენცია და დროული რეაგირება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ზაფხულის სეზონზე, მთელი საქართველოს მასშტაბით, იზრდება ტყის და მინდვრის ხანძრების გაჩენის რისკი, რაც ხშირად გამოწვეულია მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ცეცხლის დანთებით და დაუდევრობით. შესაბამისად, სამსახურისთვის, მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია ღონისძიებების გაძლიერება, როგორც ტექნიკური აღჭურვის, ასევე, მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოუწოდებს მოსახლეობას, გამოიჩინეთ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, არ დაანთოთ ცეცხლი სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე, ტყის ან ველის სიახლოვეს და არ დატოვოთ ცეცხლის კერები უყურადღებოდ.

დაკავშირდეთ ან ცეცხლის უშიშროების შემთხვევაში კი დაუყოვნებლივ აცნობონ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს.



ევროპული მომავლის პირისპირ...

ევროკავშირის პასუხს თბილისი მმართველი და ოპოზიციური პარტიების ურთიერთბრალდებების ფონზე ელოდა. პოტენციური კანდიდატობა, სტატუსი, რომელიც ახლა ბოსნია-ჰერცეგოვინასა და კოსოვოს აქვთ, გარკვეული პირობების შესრულებას გულისხმობს კანდიდატი ნევრის სტატუსის მიღწევამდე უბრალოდ იმისთვის, რომ მივიღეთ იქამდე, უნდა გავიაროთ „საგზაო რუკა“.

ჩვენ თავის დროზე გვითხრეს, რომ მოგვცემდნენ უვიზო მიმოსვლას, იმ შემთხვევაში, თუ შევასრულებდით გარკვეულ პირობებს, ჩვენ ეს პირობები შევასრულეთ და მივიღეთ უვიზო მიმოსვლა. უვიზო მიმოსვლა არა მარტო იმაში დაგვხმარა, რომ ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს შეგვიძლია უვიზოდ ვიაროთ შენგენის ქვეყნებში, არამედ, დაგვხმარა იმაშიც, რომ გარკვეული მიმართულებებით კანონმდებლობაში ბევრი რამ დაგვხმარა. დღეს გვაქვს ასეთი მოცემულობა-ნამზომი ჩართულია, საქართველომ უნდა შეასრულოს ყველა ის ვალდებულება, რაც ევროკავშირის რეზოლუციაშია მოცემული, ამის შემდეგ, ჩვენ, ისევე როგორც უკრაინას და მოლდავეთს, მოგვცემენ კანდიდატის სტატუსს. რას ნიშნავს ეს ტიტული, ზოგადად როგორ ესმის ჩვენს საზოგადოებას ევროკავშირის განმარტება, რა სარგებლობას მოუტანს ეს ყოველივე ჩვენს ქვეყანას, ვეცადეთ, გავგერკვიო ჩვენს თანამოქალაქეებთან, ასევე ჩვენს ემიგრანტებთან:

ლაშრა ემრაშვილი, ექიმი მილანიდან: „რას ნიშნავს ჩემთვის ევროკავშირი? საქართველოს და მისი მოახლეობის უკეთესი მომავლის პერსპექტივას! განათლება, არა სახელის გამო, არამედ, საქმის და შემოსავლის გამო! ადამიანების აზროვნების და-მოუკიდებლობა! არ იცინა შური. ბოლ-მა, ჯიბრი.(შეიძლება ათასში ერთი გა-მოერიოს). ცხოვრების სტილი, შრომა და დასვენება, (ჩვენგან განსხვავებით). შაბათი-კვირა დღესასწაულები, შეე-ბულებები, ჯანმრთელობაზე ზრუნვა. წელიწადში ორჯერ მაინც, ანალიზე-ბის ჩაბარება და ვიზიტები ექიმთან! ფულის შოვნის შნო, თითქმის ყველას აქვს. ყაირათიანი ხარჯვა, ზედმეტს ერთ თეთრს არ დახარჯავენ, ჩვენგან განსხვავებით.. ვალით ჯიპს არ იყი-დიან და ეზოში არ გააჩერებენ უბენზი-ნოდ, მეზობლის გულის გასახეთქად და ბოლოს, ყველას აქვს ანგარიშზე თანხა ბედნიერი სიბერისთვის! დაბალ შემო-სავლიან ოჯახებს, ყოველ დაბადებულ ბავშვს, სახელმწიფო 18 წლამდე, და მერეც(თუ სწავლა უნდა) ყოველთვიუ-რად 200 ევრომდე თანხით ეხმარება. აი ესაა დალოცვილი ევროპა! P.S. ცოდნა და განათლება არ იკარგება!



მანდ მე ფიროსმანის ამბულატორიას ვერ გავცდი, იმიტომ, რომ „ზევით“ არავინ მყავდა და აქ კიდევ მილანში, ისე რომ, ენაზეც კი საკმაოდ ვწვალავ, ექიმად მალაჩრეს, რა თქმა უნდა, შესა-ბამისი გამოცდებით. ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ ამ დიდი ოჯახის მიღმა არ აღმოვჩნდეთ.

დალი ალადაშვილი, ფარმაცევტი: „მნამს, ნამდვილად რომ გავხდებით ევროკავშირის ნევრი და მჯერა, მიი-ღებს საქართველო ევროკავშირის კან-დიდატის სტატუსს.“

მიშა პიპაშვილი, იურისტი: „ევროკავშირი, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება, როგორც გეოპოლიტიკუ-რი უსაფრთხოების გარანტი, განსაკუ-თრებით - რუსეთთან მიმართებით. საქართველოს ევროპასთან დაახლოება და ევროატლანტიკური ორიენტაცია ხელს შეუწყობს კონფლიქტების მშვი-დობიან მოგვარებას. ევროკავშირთან ინტეგრაცია ხელს შეუწყობს ტერი-ტორიული მთლიანობის აღდგენას. ეს იქნება ფინანსური და პოლიტიკური სარგებელი - თუნდაც, ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, გაცილე-ბით სტაბილური, სასურველი და და-ცული სახელმწიფო. ევროპული პერს-პექტივა გვაძლევს შანსს, ყველა ეს სიკეთე მიიღოს საქართველომ“.

თამარ მანუჩარაშვილი, პედაგოგი: „ევროკავშირის იდეა, ჯერ კიდევ 1946 წლიდან გაჩნდა, 1992 წელს კი ოფი-ციალურად ჩამოყალიბდა. ევროკა-ვშირი არის დემოკრატიული სახელ-მწიფოების გაერთიანება, რომელის მიზანია პოლიტიკური და ეკონომიკუ-რი მდგრადობის, კეთილდღეობის და თავისუფლების გარანტია. ჯერ კიდევ როდის გვინდოდა ევროპასთან მჭი-დრო კავშირი, მაგრამ სამწუხაროდ ყოველთვის რაღაც გვაბრკოლებდა. ამიტომ, ვფიქრობ, რომ უარი, რომე-ლიც ქვეყანამ მიიღო, მისი სტატუსი

ეტარებინა, მნიშვნელოვნად შეაფერ-ხებს ევროპული განვითარების დონეს, მომავალი თაობისთვის სრულფასო-ვანი ქვეყნის შექმნას. ფაქტობრივად, დავბრუნდებით სიბნელებში, საიდან ამოსვლასაც დიდი ხანია ვცდილობთ. ვფიქრობ, წლის ბოლომდე ეს მოცე-მულობა ყველამ ერთად ჩვენს სასიკე-თოდ უნდა შემოვატრიალოთ“.

ცირა ნიკლაური, ემიგრანტი: „მე მტკიცედ მნამს, რომ ჩვენი ქვეყა-ნა მალე შეუერთდება ევროკავშირს, რომელიც დროულად გვესაჭიროება, იმიტომ, რომ ოკუპანტი რუსეთისგან დაცულები ვიყოთ. ევროკავშირის ნე-ვრობას დადებითი ისა აქვს, რომ მე-ტად თავისუფლები ვიქნებით, მეტი განათლებული ახალგაზრდობა გვე-ყოლება, რა ჯობია იმას, სადაც გინ-და, იქ იცხოვრებ და ლტოლვილი არ გერქმევა. რა თქმა უნდა, უარყოფითი მხარეებიც აქვს ევროკავშირში ყოფ-ნას. გინდა თუ არ გინდა, მათ კანონე-ბს უნდა მოერგო, რომელიც ქართველი ხალხისთვის ზოგჯერ მიუღებელია, მაგრამ, თუ გვინდა ნევრობა, ის უარ-ყოფითიც უნდა ავიტანოთ, უბრალოდ ჩვენ მათგან, რაც არ მოგვწონს, არ გადმოვიღებთ. აქაური ღარიბი ხალხი მანდ, მდიდრებს უტოლდებიან, სხვა რომ არაფერი, იცი, რომ მუშაობ და სხვალ მშვიერი არ დარჩები, თუმცაღა, აქაც ძალიან გაჭირდა ცხოვრება, კა-ტასტროფულად მოიმატა ყველაფრის ფასებმა და გადასახადებმა. ეპიდე-მიამ და რუსეთ - უკრაინის ომმა თა-ვდაყირა დააყენა ყველა სახელმწიფო. გამოსვლა-გაფიცვები არ წყდება. იმე-დია, ყველაფერი მალე დამთავრდე-ბა და ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება საქართველოც და სხვა დანარჩენი ქვეყნებიც. მჯერა, საქართველო მალე განვითარდება დიდ ოჯახში, რასაც ევროკავშირი ჰქვია“.

სალომე ნატროშვილი, მკვლევა-

რი: „ევროკავშირის კანდიდატი ნევრის სტატუსი უამრავ სიკეთესა და სარ-გებელთან არის დაკავშირებული და მისი ისე წარმოჩენა, თითქოს რაიმე ემბლემა და დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ეს ემბლემა გვექნება თუ არა, ცალსახად შეცდომაში შემყვანია. კან-დიდატის სტატუსი ნიშნავს ფინანსური დახმარების პორციის კრიტიკულ ზრ-დას, ევროკავშირსა და საქართველოს შორის დიალოგის თვისებრივად ახალ ეტაპზე გადასვლას, რასაც ჩვენი ყო-ველდღიურობის გაუმჯობესება შეუ-ძლია, ჩვენი შრომითი, განათლების უფლებების ხელშეწყობად ცვლილე-ბას. გარდა ამისა, ეს იქნება დასტური იმისა, რომ ჩვენ ვართ სწორ ადგილას და სწორ პოზიციაზე, რომ იმ გზაზე ვართ, რასაც ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ირჩევს, რომ არ არსებობს ორჭოფობა და ბუნდო-ვანება იმაში, ვიცით თუ არა, ან შე-გვნევს თუ არა უნარი, როგორც სა-ზოგადოებას, სწორად დავსახოთ პრიორიტეტები, ვიცოდეთ, რა სჯობს და საერთოდ, ვიცოდეთ, რა არის ჩვენთვის უკეთესი, ვინ არის მტერი. აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ 21 წლის კონსტიტუციის შემქმნელები ჩვენთან შედარებით არც უშნოები იყვნენ, არც უჭკუები, არც ნაკლებ სტრატეგები. მათ არ ჰქონდათ იმხე-ლა ისტორიული გარღვევის შანსი, რაც ახლა ჩვენ გვაქვს - აქ და ახლა, ამი-ტომაც მოხდა საბჭოთა ოკუპაცია და არავითარ შემთხვევაში, იმიტომ, რომ ვინმეს ჭკუა არ ეყო. უნდა ვაცნობი-ერებდეთ, რომ ასეთი შესაძლებლობე-ბი ძალიან იშვიათად ჩნდება და ეს არ არის ის, რაც გამუდმებით განმეორდე-ბა. კანდიდატის სტატუსი არაა მიზანი, მიზანია, საქართველო გახდეს უკეთე-სი ქვეყანა. კანდიდატის სტატუსი ამის საშუალებაა“.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რესპონდენტების 100% ცალსახად ევროკავშირის მომხრეა, ეს მოცემულობა არა მხოლოდ აქ, არამედ ქვეყნის მოსახლეობის 85% -შია. ამიტომ, როდესაც მთელი ერი ერთხმად შეთანხმებულია, რომ უკეთესი მომავალი აირჩიოს ჩვენი შვილების თაობისთვის, რათა მათ იცხოვრონ ქვეყნის შიდა გულში რჩევიანსა და ბარეში, მტრის საფრ-თხეებისგან დაცულა, მათ მიხედვით შეძლონ ეკონომიკური სიღატაკისგან თავის დაღწევა და თავისი დასვენებისა და განათლების მიზნებისთვის დახარჯონ თავიანთი შემოსავალი. ამაყი და მოუღრკეპელი ხალხით ყოველთ-ვის იმსახურებას წინსვლას და ნათელ მომავალს.

სამეცნიერო ფილმის „საქართველო ღვინის სამოგლო“ ჩვენება გაიმართა


ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და კომპანიის „Georgisk vin“ ინი-ციატივით, დანიის ქალაქ ორჰუსში სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმის „საქართველო ღვინის სამშობლო“ ჩვენება გაიმართა.

ფილმი „საქართველო ღვინის სამშობლო“ იმ საერთაშორისო სამეცნიერო კვლე-ვას ეძღვნება, რომლითაც მეცნიერულად დასაბუთდა, რომ სწორედ საქართველოა ღვინის სამშობლო და 8000 წლის წინ სწორედ ჩვენს ტერიტორიაზე დაიწყო ველური ვაზის მოშინაურება და ღვინის წარმოება, რაც უწყვეტად გრძელდება. ორმოცნუ-თიანი ფილმი გადაღებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტ-როს სსიპ ღვინის ერო-ვნული სააგენტოსა და საქართველოს ინტელე-ქტუალური საკუთრების სააგენტოს „საქპატენ-ტის“ მხარდაჭერით.



ფილმის დასრულების შემდეგ, მოეწყო ქართუ-ლი ღვინის დეგუსტაცია, რომელსაც ღვინის ერო-ვნული სააგენტოს თა-ვმჯდომარის მრჩეველი ბიორბი თიქვაძე უძღ-ვებოდა. კომპანიის „Georgisk Vin“ დამფუძნებლის,

სოფო სალარაძის ორ-განიზებით, ორჰუსში, ღვინის კლუბში „Capo Aarhus“ გაიმართა პრე-ზენტაცია საქართველოს, ქართული სამზარეუ-ლოს, ღვინის ისტორიისა და მეღვინეობის თანა-მედროვე ინდუსტრიის შესახებ, რომელსაც ასევე გიორგი თევზაძე უძღვებოდა. ღვინისძიე-ბას დაესწრნენ დანიის სომელიეთა სასწავლე-ბლის, ღვინის აკადემიის, სასტუმროებისა და რეს-ტორნების სკოლის, ასე-ვე, ღვინის ბარებისა და რესტორნების წარმომადგენლები, რომლებიც თანამშრომლობენ მიშელინის ვარს-კვლავის მქონე ადგილობრივ რესტორნებთან. ქართული ღვინის ბარების დივერ-სიფიკაციისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო დანიამი მარკეტინგულ ღონისძიებებს გეგმავს.



გვერდი მოამზადა ელზა სარაშვილმა

„ოქროს ფონდი, რომელიც იცავს ბევრას...“

2014 წელს დედოფლისწყაროში ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის სკოლა შეიქმნა. ამ ხნის განმავლობაში ნორჩმა ფოლკლორის მოყვარულებმა თავიანთი ლოტბართან ერთად უამრავ ნარმატებას მიაღწიეს, ბევრი ალიარება, ოქროს მედალი და გრან-პრი ჩაინერა სკოლის ისტორიაში. რამდენიმე წელია, სკოლის ახალი ლოტბარი ჰყავს ნიკოლოზ ზანაძეშვილი. 30 ივნისს დედოფლისწყაროს სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში სკოლის გუნდის საანგარიშო სოლო კონცერტი გაიმართა. ღონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა სამუკაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საანგარიშო კონცერტზე გუნდის წევრებსა და პედაგოგს მიესალმნენ და განუყოფელი შრომისათვის მადლობა გადაუხადეს მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა, ლოტბარმა ილია დათუაშვილმა, თეატრალური უნივერსიტეტის პროფესორმა, ანსამბლ „შავნაბადას“ ხელმძღვანელმა დავით ცინცაძემ და დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის პედაგოგებმა. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის, დავით სონღულაშვილის ინიციატივითა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯანაძეშვილის აქტიური მხარდაჭერით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცათ, ქართულ ხალხურ სიმღერასა და გალობას ადგილზე დაეუფლონ. სწავლება უფასოა და ა(ა)იპ ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლის ბაზაზე მიმდინარეობს.

თამარ თამაზაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი: „ძალიან მიხარია, დღეს რომ აქ ვარ. მე განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს ქართული გალობისა და სიმღერის სკოლის მიმართ. ეს სკოლა ემსახურება ჩვენი

სიმდიდრის-ფოლკლორის შენარჩუნებასა და მომავალი თაობისთვის მის გადაცემას. დღეს ჩვენ მოვისმინეთ ანსამბლის საანგარიშო კონცერტი, ნიკა ზანაძეშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში და დაუბრუნდა მშობლიურ რაიონს. ახალგაზრდების ჩართულობა მეტად გამოაცოცხლებს ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის შესწავლის საქმეს. ძალიან მნიშვნელოვანი თანადგომა გაგვიწიეს ლოტბარებმა მთელი საქართველოს მასშტაბით, ილია დათუაშვილმა, ლექსო გრემლაშვილმა. მადლობა მინდა გადავუხადო სკოლის პედაგოგებს, განსაკუთრებით გელა გველეშაშვილს, რომლის მოსწავლეცაა ნიკოლოზი. ჩვენ ერთად ავანცეთ ეს საქმე და მიხარია, რომ ნიკას გვერდში უდგას და გრძელდება თანამშრომლობა. მადლობა ჩვენს ბავშვებს-მოთმინებისთვის, ხალხური სიმღერის სიყვარულისთვის, მადლობა მათ მშობლებს, შვილების განათლების საქმეში გვერდში დგომისთვის, მადლობა მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანაძეშვილს ხელშეწყობისთვის და დიდი მადლობა დავით ცინცაძეს სკოლის შექმნის იდეისთვის.

ერთი ფაქტი მინდა გითხროთ ყველას. მსოფლიო ფსიქოლოგიური კვლევების მიხედვით, მცირეა პროცენტი იმ მოზარდების კრძინინალად ჩამოყალიბების, რომლებიც გუნდური სიმღერით არიან დაკავებულნი. ისინი ამ დროს სწავლობენ სწორ ურთიერთობებს, სიყვარულს, მეგობრობას. ფოლკლორი, ეს არის ჩვენი სული, ეს არის ჩვენი გულწრფელი ფიქრი ჩვენს ყოფაზე, წუთისოფელზე, ეს არის ძალიან ღრმა და რთული ფილოსოფია, ეს არის მთელი ჩვენი ფესვები და მწვერვალები, მას არც რა საზღვარი აქვს და არც ბოლო, უძიროა. ჩვენ ეს დიდი საჩუქარი გვაქვს უფლისაგან და უნდა გავუფრთხილდეთ მას. გალობის სკოლა ფოლკლორის შენარჩუნებისთვის საუკეთესო საშუალებაა“.

დალი ელისაშვილი, ხელოვნების სკოლის დირექტორი: „სულ პატარა ასაკში ეზიარა ნიკა ქართულ მუსიკას და გალო-



ბას. ის 10 წლის განმავლობაში გულისხმიერებით, დიდი გულისყურით ეკიდებოდა საქმეს. როცა წამოიზარდა, ჩემი მარჯვენა ხელი გახდა, ყველაფერში მენამარებოდა. შემდეგ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და დაუბრუნდა თავის მშობლიურ სკოლას. ბედნიერი ვარ, რომ დღეს აქ ხედავ ნიკოლოზს, მიხარია, რომ გვეყავს ასეთი საქმეზე შეყვარებული და სამშობლოს მოყვარული ახალგაზრდები“.

მარიამ კიცილაშვილი, ხელოვნების სკოლის დირექტორის მოადგილე: „აღბათ, ბევრი თქვენგანი შესულა საქართველოს ოქროს ფონდში და დაუთვალე რეგია ის საგანძური, რომელიც იქაა დაცული. ამ ოქროს ფონდში ბევრას ვერ შეიტან. მაგრამ, საინტერესოა, როგორ უნდა შეინახო ის? დავით ცინცაძე რომ ჩამობრძანდა დედოფლისწყაროში, მან აქ გახსნა მცირე ოქროს ფონდი, რითიც იცავს ხალხურ სიმღერას, ფოლკლორს და ჩვენს იდენტობას. მნიშვნელოვანია, რომ ეს სკოლები ქართულ სიმღერას ინახავს წმინდად, რადგან შეიძლება მას ისეთი მინარევები შეერიოს, რომ შენახვის ნაცვლად დანაგვიანდეს. ამიტომ, დიდი მადლობა ყველას ამ სკოლის შექმნისთვის. ეს სკოლა არის ოქროს ფონდი, რომელიც იცავს ბევრას“.

ილია დათუაშვილი, ლოტბარი: „ეულოცავ მთელ დედოფლისწყაროს ამ დღეს. ქართული სიმღერის უნიკალურობა მთელმა მსოფლიომ აღიარა. ძალიან კარგია, რომ ფოლკლორის სკოლა დედოფლისწყაროში შეიქმნა და ბავშვები აქ საქართველოს ყველა კუთხის სიმღერას სწავლობენ და ამით ეზიარებიან თითოეული მათგანის ტრადიციებს. მე აღფრთოვანებული ვარ თქვენი ბავშვებით და ნარმატებებს გისურვებთ!“

დავით ცინცაძე, ფოლკლორისტი და ანსამბლ „შავნაბადას“ ხელმძღვანელი: „როდესაც დედოფლისწყაროში ჩამოვედი გალობის სკოლის გახსნის იდეით, აქ ძალიან თბილად შეგვხვდნენ, მათ შორის მუნიციპალიტეტის მერიაში - მერი ნიკოლოზ ჯანაძეშვილი, თამარ თამაზაშვილი, მალხაზ მერაბიშვილი. ესენი ის ადამიანები არიან, რომელთაც თავიდანვე გაიაზრეს სკოლის შექმნის მნიშვნელობა, რაც ამ საქმის კარ-

გი დასაწყისის ნიშანი იყო. ბევრმა რაიონმა ახლაც ვერ გაიგო, რაში მდგომარეობდა სკოლის დაარსების იდეა. რა ბედნიერებაა, რომ დედოფლისწყაროს ჰყავს დამბლობი-რებული, კვალიფიციური და ახალგაზრდა კადრი, რომელიც ზრუნავს ქართული ხალხური სიმღერის შენარჩუნებაზე და მომავალი თაობისთვის მათ გადაცემაზე.

როდესაც ფოლკლორის გადარჩენის მიზნით ამ საქმეს ვინცებდით, იყვნენ ადამიანები, რომელთაც არ ჰქონდათ დიპლომი, მაგრამ ჰქონდათ მეტად მნიშვნელოვანი რამ - ნამუსი, ღირებულებები, დამოკიდებულება ამ საქმის მიმართ. არ შემოძლია, განუული ამავისათვის ბატონ გელა გველეშაშვილს არ ვუთხრა დიდი მადლობა, რომელიც არა მხოლოდ თვითონ, არამედ მთელი თავისი ოჯახით იდგა ქართული ფოლკლორისა და სკოლის სადარჯჯოზე. კარგად მახსოვს, თავის ორ ვაჟკაცთან ერთად როგორ შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდები და ამ საქმეში დიდი ენერჯია, გული და სული ჩადო. და ამ წლების მანძილზე თუკი ვინმეს გასჩენია კითხვა, თუ რა იქნებოდა გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლის შედგენი, ვფიქრობ, დღევანდელმა კონცერტმა ამ კითხვას პასუხი ნამდვილად გასცა“.

გამოსვლის დასასრულს დავით ცინცაძემ სკოლის მოსწავლეებს საკუთარი ალბომის ჩაწერა და დისკოს გამოშვება შესთავაზა. ამასთანავე აღნიშნა, რომ ფინანსურ უზრუნველყოფას და სპონსორის მოძიებას თავის თავზე აიღებს და პირობის შესრულება წლის ბოლომდე დააანონსა. სამომავლოდ, ეს დისკო აიტვირთება ყველა მუსიკალურ პლატფორმაზე და ხელს შეუწყობს როგორც ფოლკლორის, ასევე დედოფლისწყაროს გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლის პოპულარიზაციას.

კონცერტი დასრულდა მასპინძელი ნიკოლოზ ჯანაძეშვილის „მრავალხმიანობით“, რომელიც სკოლის მოსწავლეებთან ერთად ცნობილმა ლოტბარებმა-დავით ცინცაძემ, ლექსო გრემლაშვილმა, ბაძა ბიძინაშვილმა და ილია დათუაშვილმა შეასრულეს.

ინგა შიოლაშვილი
ჟურნალის მდივანი



სპექტაკლის პრემიერა გაიმართა


ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლში სპექტაკლის პრემიერა გაიმართა.

კულტურის სახლთან არსებულმა ახალგაზრდულმა თეატრმა „ბერიკონმა“ მაყურებელს ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას“ ფრაგმენტები წარუდგინა. გია ყანჩელია და რიჩარდ ვაგნერის მუსიკით გაფორმებული სპექტაკლი ცარო მარტიაშვილმა დადგა, დეკორაციების ავტორი კი გია ყაჭაშვილია. შემოქმედებით ჯგუფს და ახალგაზრდა მსახიობებს წარმატებული პრემიერა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანაძეშვილმა და ა(ა)იპ კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის უფროსმა მამუკა ყავრელიშვილმა მიულოცეს. კულტურის სახლთან არსებულმა თეატრმა „ბერიკონმა“ არსებობის 9 წლის მანძილზე არაერთი თაობა აღზარდა. „კუკარაჩა“ დასის მეცხრე პრემიერაა.

ვრცელ სტატიას გაზეთი „შირაჟი“ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.



შიდა გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია აქტიურ რეჟიმში გრძელდება.

სოფელ სამრეკლოში 12-ე, 13-ე ქუჩებისა და 14-ე ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის საავტომობილო გზის მოასფალტება მიმდინარეობს.

სამუშაოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანაძეშვილი მოადგილესთან, დავით ფხოველიშვილთან ერთად გაეცნო.

პროექტს რეგიონული განვითარების ფონდი ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან ერთად ახორციელებს და მისი ღირებულება 352 000 ლარს შეადგენს.

სორბლისა და ქერის ექსპორტი აიკრძალა

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 2023 წლის 1-ელ ივლისამდე საქართველოდან ხორბლის და ქერის ექსპორტი იკრძალება. შესაბამის დოკუმენტს პრემიერ-მინისტრმა ხელი უკვე მოაწერა.

როგორც მთავრობის განკარგულებაშია აღნიშნული, გადანაცვტილება მსოფლიოში შექმნილი სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებიდან გამომდინარე იქნა მიღებული.

„მსოფლიოში შექმნილი სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებიდან გამომდინარე, რაც დაკავშირებულია რუსეთ-უკრაინის ომთან, 2023 წლის 1-ელ ივლისამდე აიკრძალოს საქართველოდან ხორბლის და ქერის ექსპორტი. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2022 წლის 4 ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე“, - აღნიშნულია მთავრობის განკარგულებაში.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით

საქართველოს მთავრობის განკარგულებით

№1162/2022 წლის 28 ივნისი კ. ივლისის

სორბლისა და ქერის ექსპორტის უკუშეწყობის შესახებ

1. მოქალაქეებმა უნდა დაიცვან უსაფრთხოების პირობებიდან გამომდინარე, რაც დაკავშირებულია რუსეთ-უკრაინის ომთან, 2023 წლის 1 ივლისამდე აიკრძალოს საქართველოდან ხორბლის (ესე კოდი 1001) და ქერის (ესე კოდი 1003) ექსპორტი.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2022 წლის 4 ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

სმა კოსმოსამდე ასული...

მსოფლიოში სახელგანთქმულ ეთნო-მუსიკოლოგ იზალი ზემცოვსკის ნათქვამი აქვს: „მრავალხმიანობის ის ფორმა, რომელიც საქართველოში არა გვხვდება, მრავალხმიანობად არც კი ჩაითვლება“. ეს ფრაზა ჩვენ, ქართველებს, სიამაყის განცდას ნამდვილად გვიჩენს. ამასთანავე, ძნელი არ აღინიშნოს, რომ ქართულ ფოლკლორში დიდი სიბრძნეა ჩადებული. ტექსტუალური ნაწილი თითქმის არცერთ სიმღერაში არა არის უბრალო სიტყვებზე აგებული. თითოეული კომპოზიცია განაწილებულია ლხინის, ბრძოლის, მწუხარების, გამარჯვების, დალოცვისა და სადიდებლების მიხედვით. უნიკალურობის დასტურად ის ფაქტიც საკმარისია, რომ ქართული მრავალხმიანობა იუნესკოს მიერ არამატერიალური კულტურის ძეგლად აღიარებული. გარდა პოლიფონური მრავალფეროვნებისა, ქართული სასიმღერო შემოქმედება მდიდარია უანრობრივადაც. ქართველთა მუსიკალურმა მეხსიერებამ შემოგვინახა მრავალი უანრობრივი: საძებრო, ბავშვის დასაძინებელი, სამკურნალო, მგზავრული, საბრძოლო, შრომის სხვადასხვა ფორმისა და ეტაპის, ხელსაქმის, ჭირისა და ლხინის, ამინდის ბარათის, სხვადასხვაგვარი კულტურის სიმღერები და ჰიმნები. ანუ, ძველ საქართველოში ყველა ცხოვრებისეულ მოვლენას და საქმიანობას თავისი სიმღერა ჰქონდა. ბედნიერები ვართ, რომ ბევრმა მათგანმა ჩვენამდე მოაღწია.



ანსამბლ „სორნაბუჯის“ ხელმძღვანელი ლემსო ბრემელაშვილი

მეცნიერებმა ზუსტად არ იციან, თუ როდის წარმოიშვა ქართული ხალხური, უფრო ზუსტად კი, მრავალხმიანი გუნდური მუსიკა. ნაწილი ამტკიცებს, რომ იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე შეიქმნა, მაგრამ მისი წარმოშობის ძირითად თარიღად დასახელებულია მე-V საუკუნე. მრავალსაუკუნოვანი ქართული ფოლკლორი-ქართველი ერის შემოქმედებითი გენიის ნაყოფი-არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო კულტურის კუთვნილებდა. საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა ქართული ფოლკლორის უნიკალური ნიმუშები. საქართველოს ყველა კუთხეს თავისებური მუსიკალური დიალექტი აქვს. ასეთი დიალექტი 15-მდე აღწევს. უძველესი სიმღერები მრავალხმიანობა და გუნდურად სრულდება, რაც ქართული ხალხური მუსიკის ყველაზე უფრო დამახასიათებელი და გამორჩეული მხარეა.

მრავალხმიანობა, მუდმივად განსხვავებული რეპერტუარით, დამახასიათებელი და გამორჩეული ხალხური სიმღერებით ცნობილმა დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრთან არსებულმა ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა „ხორნაბუჯი“ პანდემიასა და მისი დასრულების უამს, უკვე მეორედ მოუყარა თავი მსმენელს. 28 ივნისს მათ დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე საანგარიშო კონცერტი უმაღლეს დონეზე ჩაატარეს.

რა შეიძლება ითქვას ანსამბლ „ხორნაბუჯზე“ და მის შემოქმედებაზე? იცით, როგორია მათი მოსმენა? დროს რომ აჩერებს და ყველა პრობლემას სცენის მიღმა გატოვებინებს, გწყვეტს ყოველდღიურობას და სულ სხვა, რადიკალურად განსხვავებულ სამყაროში გამოგზავრებს. მაშინ, როდესაც ერთმანეთს ენაცვლება ურმული, შავშური, მეგრული, ქართლ-კახური სიმღერები, საფინალო აკორდად

კი „ჩაკრულოს“ გესმის, მგონი, ეს სწორედ ის მომენტი, როდესაც ხედები, თუ, რატომ იმოგზაურა ქართულმა პოლიფონიამ კოსმოსში და ყოველი ჩვენგანიც მეცხრე ცაზე ხედება.

ლემსო ბრემელაშვილი კი ის „ჯადოქარია“, ანსამბლის ხელმძღვანელის რანგში მუდმივად რომ აოცებს მსმენელს და თავისი მუშაობით მეტ მოტივაციასა და სტიმულს აძლევს როგორც მისი გუნდის წევრებს, ასევე მსმენელსაც. ის, კონცერტის გახსნისას, გასულ დღეებში ვატიკანში ქართული კულტურის ზეიმს და აღიარებასაც შეეხო და თქვა: „არ შემიძლია არ გამოვეხმაურო იმ დიდ მოვლენას, რომელსაც ჩვენ ყველა ვადევნებთ თვალს გასული რამდენიმე დღის განმავლობაში. საქმე ეხება 26 ივნისს ვატიკანში, „სიქსტის კაპელაში“, სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდის კონცერტს. ჩვენ უერთდებით ამ დიდ სიხარულს, გამარჯვებას და აღიარებას. ვისურვებდი, რომ საქართველოშიც ასეთივე აღიარება და გამარჯვება ჰქონოდა ქართულ სიმღერას ყველას გულში, ყველას სახლში და ცხოვრებაში. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ანსამბლის წევრის, ლევან ხუნაშვილის ძმისშვილი, ჩვენი ბავშვობის მეგობარი არის იმ გუნდის წევრი, რომელიც ვატიკანში ხალხურ სიმღერებს ასრულებდა. სწორედ ამიტომ, ჩვენ მადლობას ვუხდით მას, მის ოჯახს, გიორგის აღზრდისთვის, ხოლო თავად გიორგის კი ასეთი კარგი სიმღერისთვის.“

ყოველი გამოსვლა საოცარი გადასვლით ატკობდა მსმენელის ყურს. ლექსო გრემელაშვილი კი პატარ-პატარა ისტორიებით ავსებდა ჩვენს ცოდნას ფოლკლორზე და თითოეულ სიმღერასა თუ მის უანრობრივობას საოცარი მონდომებით ხსნიდა: „ორიოდე სიტყვით მინდა მოგახსენოთ შრომის სიმღერების შესახებ საბჭოთა ეპოქაში. მას შემდეგ, რაც გაჩნდა ტრაქტორები, კომბაინები, ქართულმა ხალხურმა სიმღერამ გადმოინაცვლა საკონცერტო დარბაზში და ძალიან დიდი ზენოლა განიცადა ქართულმა სუფრულმა სიმღერამ. მანამდე მეტ დროს ქართველი კაცი ატარებდა შრომაში და შრომის სიმღერები საკმაოდ ბევრი იყო. ტექნიკის განვითარებამ მოსპო, მოშალა ის შესაძლებლობა, რომ ქართველ კაცს შრომასთან ერთად ემღერა, მაგრამ, ის ხალხი, ვინც შრომის პროცესში მღეროდა, ხშირ შემთხვევაში საკუთარ თავს არც თვლიდა მომღერლად, და რომ გეტქვა მოდი ვიმღეროთო, შეიძლება არც ემღერათ. შრომის პროცესისთვის იმდენად ორგანული იყო სიმღერა, რომ როდესაც ხალხს ჰკითხეს, რა არის შენთვის ქართული სიმღერაო, ძალიან მარტივად, ყოველგვარი ზედმეტი რომანტიზმის გარეშე უპასუხა: ქართული სიმღერა ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რამ არის, თუ არ ვიმღერე ვერ ვიმუშავებ, თუ არ ვიმუშავე შიმშილით მოკვდებო. მიუხედავად იმისა, რომ ძველ დროში არსებობდნენ საუკეთესო მომღერლები, მათ პარალელურად არსებობდნენ საშუალო დონის მომღერლებიც. მაგრამ, საინტერესოა ერთი ფაქტი: აბსოლუტურად ყველას შეეძლო სიმღერა და ამისთვის



ძალიან ბუნებრივი სკოლა იყო შრომის პროცესი. მაგალითად, შრომის სიმღერები განსაკუთრებით ქართ-კახეთში, გენბავთ გურიაში, თუ არ ჩავთვლით ზედა ხმებს და სოლისტებს, ბანის ხმა ორი-სამი ბგერისგან შედგება. მთელი ცხოვრების განმავლობაში, ბავშვობიდანვე რომ უსმენს ადამიანი, ჩართულია ამ შრომის პროცესში და თვითონაც მღერის, ათვისების პროცესი მარტივდება. ჩვენი წინაპრები ძალიან მარტივად ითავისებდნენ სიმღერებს. ამიტომ, სიმღერის თქმა აბსოლუტურად ყველასთვის შესაძლებელი იყო, სწორედ, აი, ამ უნიკალური სკოლის გამო.“

რა თქმა უნდა, ქართული ფოლკლორი მხარდაჭერისა და გვერდში დგომის გარეშე დღეს უფრო რთულ მდგომარეობაში იქნებოდა. სწორედ ამიტომ, ანსამბლის ხელმძღვანელმა სცენაზე ქართული ფოლკლორისა და ადგილობრივი გუნდების დიდი მოამაგე, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი მოიწვია, რომელმაც მადლობა გადაუხადა განუვლი ერთობლივი მუშაობისთვის ცენტრის ყოფილ ხელმძღვანელს ილია მარტყოფლიშვილს და წარმატება უსურვა ახალ დირექტორს მამუკა ყავრელიშვილს. მან სიტყვით მმართა დამსწრე საზოგადოებას: „მეორე კონცერტი, რომელიც ანსამბლმა გამართა ამ დიდი პანდემიის პერიოდში. მოიხსნა შეზღუდვები და მადლობა ღმერთს, რომ დაიწყო ღონისძიებების გამართვა. ამ ადამიანებმა, ანსამბლის წევრებმა, დიდი შრომა, ღვაწლი განიეს. პანდემიის პირობებშიც არ შეჩერებულა ბატონი ლექსო და ანსამბლის წევრები, დღესაც, ჩვენს საუნივერსიტეტო და განძს, რომელიც ასე წარმატებით წარსდგა ვატიკანში, დიდი გულსიმძივრებით და ფულიყურით უძღვებიან, იცავენ და პატივსაცემ. მსურს, მივესალმო ვატიკანში გამართულ ამ დიდ ამბავს, სადაც წარსდგა ჩვენი სული და გული, ჩვენი ფოლკლორი, ხალხური სიმღერა, ჩვენი საგანძური, ჩვენი ფესვები და ჩვენი მწვერვალები. მიხარია, ჩვენი ფოლკლორის ასეთი გამარჯვება. გისურვებთ წარმატებებს და ჩვენი, მერიის

მხრიდან, მსურს ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ თქვენ უკეთეს პირობებში მოგინოთ მუშაობა, კმაყოფილი იყოთ. იმედი გვაქვს, რომ პუბლიკაც ცოტა შემოგვემატება. მადლობა ყველაფრისთვის თქვენ და მადლობა სტუმრებს მობრძანებისთვის“.

ანსამბლის ხელმძღვანელმა ასეთი რამ ამცნო მსმენელს: „თქვენ იცით, რომ დედოფლისწყაროში არსებობს ჰამლეტ გონაშვილის სახელობის გალობის სკოლა, სადაც არაერთი ნიჭიერი ადამიანი აღზრდილია და ახლაც იზრდებიან. ორი მათგანი შემოგვიერთდა ანსამბლში და დღეს, ისინი ჩვენთან ერთად მღერავენ: იოანე შიუკაშვილი და გიორგი ალუღიშვილი.“

ახალ თაობაზე, ანსამბლთან ურთიერთობასა და მათ საქმიანობაზე ისაუბრა კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ყოფილმა ხელმძღვანელმა ილია მარტყოფლიშვილმა, რომელიც სცენაზე ლექსო გრემელაშვილმა მისადმი სამადლობლო სიტყვის შემდეგ მიიწვია.

ილია მარტყოფლიშვილი: „უცნაური დამთხვევა იყო, რომ ჩემთვის ბოლო ღონისძიება სწორედ სიღნაღში ჩატარებული არაჩვეულებრივი ფოლკლორის ფესვლავალი აღმოჩნდა, სადაც, ჩვენ ერთად ვიმყოფებოდით და საოცრად წარმატებული გამოსვლა ჰქონდა ანსამბლს. დიდი მადლობა იმ დღისთვისაც და იმ წლებში განუვლი სამუშაოსთვისაც, რაც თქვენ ამ რაიონისთვის გიკეთებიათ. მადლობა ყველაფრისთვის რაც ამ ტრადიციების შენარჩუნება/აღდგენისთვის და მომავალი თაობებისთვის ქართული ხალხური სიმღერების შემოწავისთვის გაქვთ გაკეთებული. ცხოვრება გრძელდება, წარმატებებს გისურვებთ მომავალშიც და ეჭვიც არ მეპარება, რომ უფრო დიდი აღმასვლა გელოდებათ. ამის უფრო მჯერა, მაშინ, როდესაც ახალგაზრდების შემომატება გუნდში. ღირსეულად აგრძელებენ გზას როგორც ახალგაზრდები, ასევე ანსამბლის ძველი წევრებიც. უპირველესად მინდა ჯანმრთელობა გისურვოთ ყველას. თქვენს ერთგულ გულშემატკივრად მივუღებთ მომავალში.“

„ხორნაბუჯის“ შემაჯამებელ კონცერტს მხოლოდ დედოფლისწყაროს ადგილობრივი მსმენელი არ ესწრებოდა. სტუმრად გურჯაანის მუნიციპალიტეტში არსებული ანსამბლ „გურჯაანის“ ხელმძღვანელი ილია დათუაშვილიც გახლდათ: „ძვირფასო საზოგადოებავ, ჩემთვის ძალიან საამაყო და მიხარია, რომ დღეს ანსამბლ „ხორნაბუჯთან“ ვარ და მითუმეტეს ჩემს მეგობარ ლექსოსთან. იმდენი რომ, ჩვენ ურთიერთობის უამრავი წელი გვაკავშირებს. მინდა თამამად გითხრათ, რომ ლექსო ქართულ ფოლკლორში არის ერთ-ერთი საუკეთესო პროფესიონალი, ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი და ხალხური სიმღერებისა და გალობის ძალიან დიდი მცოდნე. ბედნიერები ხართ, რომ ასეთი ადამიანი გყავთ. ბევრ ადამიანთან მიმღერია, მაგრამ ლექსო საუკეთესო პარტნიორია. გეტყვით, რომ თქვენს მხარეს ძალიან დიდი პოტენციალი და განვითარების პერსპექტივა აქვს. მადლობას ვუხდით ჩვენს უფროს თაობას, ვინც აქამდე მოიტანა ეს ყოველივე. ლექსოს ექნება საშუალება რომ გააკეთოს, შეკრას ის რეპერტუარი, რათა ძალიან კარგად წარმოაჩინოს ეს რაიონი, რადგან,

/გაგრძელება გვ.5/

მასწავლებელთა კონფერენცია – წარმატებული პრაქტიკის გაზიარება

„ზოგადი განათლების რეფორმის“ ფარგლებში, ა.წ. ივნისის თვე აქტიურად დაეთმო მასწავლებელთა რეგიონულ კონფერენციებს, რომელიც საქართველოს 68 საგანმანათლებლო რესურსცენტრის ბაზაზე მიმდინარეობს ონლაინ და ფიზიკურ გარემოში. მასში მონაწილეობას იღებდნენ სასკოლო საზოგადოების წევრები.

დედოფლისწყაროს რესურსცენტრის ორგანიზებით გაიმართა სამდღიანი რაიონული კონფერენცია, სადაც სხვადასხვა სკოლის მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარეს „ზოგადი განათლების რეფორმის“ ფარგლებში წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის გამოცდილება. კონფერენცია შესავალი სიტყვით დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ეთარ ლაშვილმა გახსნა: „თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ მთელს საქართველოში, აქტიურად მიმდინარეობს ზოგადი განათლების რეფორმა - ყველა სკოლაში, საკლასო ოთახში და ა.შ. თქვენთვის ისიც ცნობილია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა ორიენტირებულია მოსწავლეზე, სწავლა სწავლებისთვის, სწავლა კეთებით და. ა.შ. ამდენი წლის განმავლობაში დაგროვდა საკმაოდ დიდი ცოდნა, თუ როგორ ახერხებენ მასწავლებლები ამ გეგმის განხორციელებას საკლასო ოთახებში, რა აქტივობები აქვთ, როგორ გაკვეთილებს ატარებენ. სწორედ ამიტომ, დადგა იმის საჭიროება, რომ მოგვეწვია მასწავლებელთა კონფერენცია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ხელი შეგვიშალა პანდემიამ, თქვენ, მასწავლებლები აქტიურად მუშაობდით და მაინც ახერხებდით ახალი სასწავლო გეგმის დანერგვას

თქვენს მოსწავლეებში. კონფერენციის ორგანიზება მოხდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ჩვენი რესურსცენტრის, საგნობრივი ექსპერტების, ლიდერების და კოორდინატორების მიერ. ისინი იცნობენ ჩვენს პედაგოგებს და პროცესს, თუ როგორ ატარებდნენ ისინი გაკვეთილებს. ამ კონფერენციაზე სულ სხვანაირი კუთხით იქნება დანახული ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა, რომელიც 21-ე საუკუნის ახალგაზრდების ცოდნა-განათლებისთვის არის აუცილებელი. დიდი მადლობა ყველას აქ მობრძანებისთვის. იმედი მაქვს, რომ აქტიურად დაინერგება დედოფლისწყაროს ყველა საჯარო სკოლაში ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა.“

კონფერენციის მონაწილე პედაგოგებმა, ნათელა ნარიანიძემ, მარიკა გონაშვილმა, თონა ლონდაძემ, ეთერ ალადაშვილმა, ლია ქადაგიძემ, მზევიანარ ოლაძემ, გელა დავითაშვილმა, მათა სიმონიძემ, მათა პოპიაშვილმა, მარინა შანშიაშვილმა, გულნარა ხუციშვილმა, ელენე ოგბაძემ და ნონა ტოკლიკიშვილმა წარმოადგინეს „ზოგადი განათლების რეფორმის“ ფარგლებში განხორციელებული კომპლექსური დავალებები.

წარმატებული პრაქტიკის გაზიარება მოხდა სასკოლო პროექტების გაზიარება/დანერგვის მიმართულებითაც, სადაც პრეზენტაციები წარმოადგინეს: სოფელ ზემო ქედის N2 საჯარო სკოლის დირექტორმა თამარ ნებეიძემ, სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის პროექტის ხელმძღვანელმა მათა პოპიაშვილმა, ქალაქ დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის დირექტორმა ეთერ ოთარაშვილმა და მასწავლებლებმა - ირინე თეთვაძემ



და თამარ ბოსტაშვილმა, ქალაქ დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის დირექტორმა ლალი იაკობიშვილმა და სოფელ არხილოსკალის საჯარო სკოლის მასწავლებელმა ლია აფციაურმა.

ლონისძიებზე პედაგოგებმა და სკოლის დირექტორებმა გააზიარეს საგაკვეთილო სივრცეში მიღებული საუკეთესო გამოცდილება. პრეზენტაციების წარმოდგენით თვალსაჩინო გახდა, თუ რამდენად შეუწყო ხელი კომპლექსურ დავალებებზე და სასკოლო პროექტებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართულობას, სასწავლო შედეგების გაუმჯობესებასა და სასკოლო კულტურის განვითარებას.

განათლების რეფორმა ყველა მიმართულებისათვის კომპლექსურ და მათ შორის ინტერდისციპლინურ მიდგომებს გულისხმობს, რაც განათლების ერთიანი სისტემის ტრანსფორმაციას უზრუნველყოფს. ზოგადი განათლების რეფორმა უკვე მესამე ეტაპზე გადავიდა. პირველ ორ ეტაპზე დედოფლისწყაროდან ჩართულები იყვნენ ზემო ქედის, გამარჯვებისა და პირველი საჯარო სკოლები, მესამე ეტაპზე კი მოხდა მეორე საჯარო სკოლისა და არხილოსკალის ჩართვა. როგორც ზოგადი განათლების რეფორმის კოორდინატორმა დედოფლისწყაროში, თამარ ხარაშვილმა აღნიშნა: „კონფერენციის მიზანია რაიონულ დონეზე მასწავლებლებს, სკოლებს შორის თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერება, მოტივაციის გაზრდა, რაც დადებითად აისახება მესამე ეტაპის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაზე.“ მან ასევე მადლობა გადაუხადა დედოფლისწყაროს რესურსცენტრის ხელმძღვანელს ეთერ

ზურიკაშვილს და მის გუნდს, კონფერენციაში მონაწილე ყველა მასწავლებელს, ზოგადი განათლების რეფორმის საგნობრივ ექსპერტებს და დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლას-დირექტორს ქ-ნ ლალი იაკობიშვილს. „იმედოვნებ, მსგავსი ტიპის კონფერენცია ტრადიციად იქცევა და მომავალ წელს ბევრად უფრო მასშტაბური იქნება.“ - აღნიშნა თამარ ხარაშვილმა.

პირველი დღე დაეთმო ქართული ენისა და ლიტერატურის, დაწყებითი სახურის, მათემატიკის, მე და საზოგადოებისა და სპორტის მასწავლებლებს. მეორე დღეს კი პრეზენტაციები წარადგინეს ინგლისური ენის, ბიოლოგიის, სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის პედაგოგებმა. კონფერენციაზე წარმოდგენილი და გამოფენილი იყო ასევე ამ წლის განმავლობაში მოსწავლეთა ნამუშევრები, კომპლექსური დავალებები. „მადლობა მინდა გადავუხადო აღნიშნული კონფერენციის ყველა მონაწილეს, „ახალი სკოლის მოდელი“-ს საგნობრივ ექსპერტებსა და დამსწრე საზოგადოებას. ვიმედოვნებ, რომ კონფერენციას მიეცემა ტრადიციული სახე და მომავალ სასწავლო წელს ბევრად უფრო მასშტაბური იქნება.“ - აღნიშნა რესურსცენტრის წარმომადგენელმა თამარ ლაშვილმა.

კონფერენციაში მონაწილე თითოეულ პედაგოგს გადაეცა სერტიფიკატი „ზოგადი განათლების რეფორმის“ ფარგლებში დედოფლისწყაროს რაიონულ კონფერენციაში მონაწილედ მონაწილეობისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარებისთვის.

ელზა ხარაშვილი
ეუშუა ხარაშვილი



ხმა კოსმოსამდე ასული...

/დასაწყისი გვ.4/

ის ერთ-ერთი საუკეთესო ფოლკლორისტიკა დღევანდელ ქართულ რეალობაში. მადლობა მოწვევისთვის, ჩათვალეთ, რომ გურჯაანის რაიონი თქვენთანაა. ახლო მომავალში ჩვენ ბევრჯერ გადავიკვეთებით და აუცილებლად დავემგობრდებით.“


შემდეგი კი ბექა ბიძინაშვილი იყო, თელავში მოღვაწე ერთ-ერთი გამორჩეული ლოტბარი, რომელმაც შეაფასა შემაჯამებელი კონცერტი და მიმართა მსმენელს: „გილოცავთ ამ დღეს. მე თქვენი სოლო კონცერტიც მაქვს ნანახი და ბედნიერი ვარ, რომ ეს დღე კვლავ შედგა თქვენთან ერთად. რამდენიმე წლის განმავლობაში ეროვნული ფოლკლორის ფესტივალზე უამრავ გუნდს მოვუსმინე და მას შემდეგ ნამდვილად წინსვლა აქვს თქვენს ანსამბლს. ჩვენ, ახალგაზრდებმა, რა ცოდნაც მივიღეთ ჩვენს უნივერსიტეტებში, ჩამოვედით და ჩვენს კუთხეებში ვაზიარებთ ახლა ამ გამოცდილებას. მართლა დიდი პოტენციალი აქვს ამ მხარეს. მიხარია, რომ ლექსო აქ არის. ვისურვებდი, რომ უფრო მეტად დაგუდგეთ მას გვერდში, განსაკუთრებით ძველი მომღერლები. რა ინფორმაციაც თქვენ გახსოვთ, სწორედ ეგ არის ყველაზე ღირებული, სიმღერის ძველი ვარიანტები, რაც საუკუნეების მანძილზე მოდიოდა და გვესმოდა. მიხარია, რომ საკმაოდ მაღალი დონის ნამუშევრები წარმოადგინეთ. ვფიქრობ, უფრო მეტი და მეტი მუშაობაა საჭირო, რომ კახური სიმღე-

რის ის ტრადიცია, რომელიც ჩვენამდე მოვიდა, ღირსეულად იყოს წარმოჩენილი ამ რაიონში. გისურვებთ წინსვლას.“

ანსამბლ „ხორნაბუჯს“ კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ახალმა უფროსმა მამუკა ყავრელიშვილმაც აღუთქვა გვერდში დგომა და მხარდაჭერა: „მართლაც რომ საოცარი აკადემიური დონე და კონცერტი უჩვენებთ დღეს დამსწრე საზოგადოებას. ძალიან შთაბეჭდავი იყო თქვენი გამოსვლა და ეტყობოდა, რომ თითოეული შესრულება კარგად დამუშავებული გქონდათ. კარ-

გად შეთამაშებული გუნდი ხართ. ყოველთვის დიდი სიამოვნებით გისმენდით და მომავალშიც, ჩვენ რაც შეგეძლება, მაქსიმალურად დაგვიდგებით გვერდში. დიდი მადლობა ლექსოს, ის ძალიან კარგი ხელმძღვანელია და ეს გუნდსაც ძალიან ეტყობა. მადლობა სტუმრებს მობრძანებისთვის.“

ზედმეტი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ „ჩაკრულო“ ქართული ხალხური სიმღერების გვირგვინია! სწორედ ამ გვირგვინით დაასრულა თავისი შემაჯამებელი კონცერტი ანსამბლმა და საზოგადოებას



ახალ გამოწვევებამდე და ახალ სიმაღლეებამდე დავმზიდობა. ნაკითხული მაქვს, რომ „ჩაკრულო“ ეს არის მუსიკის ერთი გადმოცემული ადამიანური მზარდი ემოციების საოცრად გეგმაზომიერი, განონსწორებული გადანაწილებისა და კულმინაციის მიღწევის გასაოცარი „დაპყრობის“ უიშვიათესი მაგალითი. ამას ემატება მისი სიტყვიერი ტექსტის ეროვნული შემართება. სწორედ ამის გამო მოხვდა ჩვენი ფოლკლორის ერთ-ერთი შედევრი კოსმოსში. სათაური „ჩაკრულო“ ზუსტად გამოხატავს მუსიკალური განვითარების თავისებურებას და იოსებ უორდანიას გამოკვლევით, ცალ-ცალკე განვითარებული სოლისტების ერთ მონეტში შეერთებას გულისხმობს - ხმით ჩაეკრა ერთმანეთს ორი სოლისტი!“.

დამერწმუნეთ, ანსამბლ „ხორნაბუჯის“ თითოეული გამოსვლა ის შემთხვევაა, როდესაც მისი დასრულებისას ადგილიდან ერთი ნაბიჯის გადაღმაც კი განაწილებს, რაღაც განაწილებს ამ ზღვარდობის, ამ ხმაში, ამ მრავალმხანობის დათმობა. აბრა... ხალხური სიმღერები ხომ იმდენ ხანს იძებნა, რამდენ ხანსაც ვიარსებებთ ქართველები და იარსებებთ ბალახშიცა. ასე რომ, მართლაც შემიძლება მწვერვალზე ვიდე, „ხორნაბუჯო!“ თუ შევახიზნებთ მსმენელის სიმკვირე, თქვენი ხმა უკვე დიდ ხანს ისმის, იქ, ზემოთ, კოსმოსურ ბალახშიცა! გვიაროდათ, რომ ადამიანებამდეც აუცილებლად მოვა ის...
ეუშუა ხარაშვილი

გაიცანით და... დაიმახსოვრეთ!

დაახ, გაიცანით და დაიმახსოვრეთ ეს სახელი და გვარი - შუქია ბიბაური! რატომ? იმიტომ, რომ ეს კაფანდარა, „ხევსურის ქალი“, სულაც არ არის ისეთი ნაბია და მოკრძალებული, როგორც გარედან ჩანს. ის ძალიან მიზანდასახული, მიზანსწრაფული და ისეთი მშრომელია, თანაც ნიჭიერი, რომ, ეჭვსგარეშეა, დიდ წარმატებებს მიაღწევს. მიზნები კი ძალიან შორსმომავალი აქვს.

შუქიამ წელს სამრეკლოს საჯარო სკოლის ათი კლასი დაამთავრა. ის 16 წლისაა. მეთერთმეტე კლასში კი შუქია სწავლას ამერიკაში გააგრძელებს, რადგან ის პროგრამა „flex“ - ის გამარჯვებულია. პროგრამა „flex“ არის მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა ამერიკის საბჭოები. ის დიდი ხანია ფუნქციონირებს. მისი ოფისი თბილისში ყოველი წლის სექტემბერში აცხადებს თავისუფალ კონკურსს. კონკურსის პირობებია: მაღალი აკადემიური მოსწრება და ინგლისური ენის ცოდნა. წელს 3000 ბავშვი მონაწილეობდა კონკურსში, საიდანაც შერჩა 70 ფინალისტი. მათ შორის არის შუქიაც. პროგრამა გაცვლითი ხასიათისაა. პროგრამაში ჩართვის მსურველი ამერიკული ოჯახი ირჩევს საქართველოში ერთ-ერთ ფინალისტს ინდივიდუალურად და იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს მისი მგზავრობის, სწავლის და საყოფაცხოვრებო ხარჯები. შუქია ინდიანას შტატის ქალაქ ვორენაში მცხოვრებმა ოჯახმა მიიწვია. ოჯახი ექვსი წევრისაგან შედგება: პაპა, ბებია, ბიძა, დედა-მამა და 17 წლის ქალიშვილი. ოჯახი მოუთმენლად ელოდება სტუმარს, ეკონტაქტებიან და ყველანაირ ხელშეწყობას ჰპირდებიან. საგარეოდ, აგვისტოს თვეში მოუწვევს შუქიას გამგზავრება. 11 აგვისტო მისი დაბადების დღეა-16 წლის ხდება. თუ ამ დროს ამერიკაში მოუწვევს ყოფნა, მასპინძლები ჰპირდებიან დაბადების დღის გადახდას, თუ საქართველოში იქნება, დედა მოუწყობს ზეიმს მაღლიერების ნიშნად ასეთი კარგი შვილი რომ ჰყავს. დედა, მამა ბენაშვილი, სამრეკლოში დაიბადა და გაიზარდა. დაამთავრა სკოლა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების ფაკულტეტი. მუშაობდა სამრეკლოს საბავშვო ბაღში. მას მერე, რაც უფროსმა ქალიშვილმა, მაგდა გიგაურმა, სკოლა დაამთავრა და ილიას უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა (ის მეორე კუსზე გადავიდა), დედა შვილს დედაქალაქში გაჰყვა. ძიხად მუშაობს და ცდილობს, ხელი შეუწყოს შვილებს განათლების მიღებას და კარგ ადამიანებად ჩამოყალიბებაში. შუქია სამრეკლოში ბებიასთან, ნინო ლიქოკელ-ბენაშვილთან, ცხოვრობს და ცდილობს, არ შეარცხვინოს ოჯახი. (ნეტავ ასეთი „შემარცხვენელი“ ყველა ოჯახს ჰყავდეს ერთი მაინც!)

- შუქია, საიდან გაგიჩნდა ამ პროგრამაში ჩართვის სურვილი?
 მაშინ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მეექვსე კლასში ვსწავლობდი (სამრეკლოს სკოლაში მერვე კლასის მერე გადავედი) როდესაც ჩემმა მამიდაშვილმა, ნანო

მოდოსიანმა, მოიგო ეს გრანტი და ისიც გაცვლითი პროგრამით ერთი წელი ამერიკაში სწავლობდა. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, რომ მეც მომეპოვებინა ეს გრანტი და დავინწყე ყოველდღიური მზადება ამ მიზნის მისაღწევად. პირველი კლასიდან ათოსანი ვიყავი, ინგლისური ენის შესწავლისათვის კი საფუძველი ჩემმა საყვარელმა მასწავლებელმა ნაირა უთრუთაშვილმა შემეძინა. ეკონომიურად არ შემეძლო კერძო გაკვეთილებზე გავძლიერებულიყავი, ამიტომ, ჩემით დავინწყე მეცადინეობა. კომპიუტერში ინგლისური ენის შემსწავლელ კურსზე ჩავერთე, ვკითხულობდი ტექსტებს და ვცდილობდი, მეთარგმნა ხან ინგლისურიდან ქართულად, ხან ქართულიდან - ინგლისურად. ლექსიკონი ხელიდან არ გამიშვია, ყოველდღიურად ვსწავლობდი სიტყვებს და ვიმდიდრებდი ცოდნის დონეს. თავს არ ვიქებ, მაგრამ, დაუღალავი შრომით დღეს მე საუკეთესოდ ვფლობ ამ ენას (ასე ამბობენ გამოცდებში!). მე მზად ვარ ამერიკაში ცხოვრებისთვის.

- შუქია, ამერიკის შტატებს შორის დიალექტიკური სხვაობაა. რა იცი შენი შტატის შესახებ?

ვფიქრობ, არ გამიჭირდება, მაგრამ, თუ რაიმე სახის პრობლემა შემექმნა, თავად პროგრამა ითვისებ, რომ, საგნის დაძლევის და ენის ბარიერის გადალახვის მიზნით, სპეციალურად ამიყვანონ მასწავლებელი.

- ალბათ, ღელავ!

რა თქმა უნდა, ვღელავ. გამიჭირდება აქაური მეგობრების, ახლობლების დატოვება, მაგრამ მზად ვარ, გაუძლო და ვაჟაკურად გადავიტანო „დაავადება“, რომელსაც ნოსტალგია ჰქვია და ყველა ადამიანს აწუხებს, ვინც საზღვარს გადაკვეთს და სამშობლოს მოსცილდება. ზოგადად, ბევრი ლაპარაკი და ნაჩქარევად რაიმეზე აზრის გამოთქმა არ მჩვევია. უფრო ფიქრი მიყვარს, მოსმენა და მოსმენილის გაანალიზება. ადამიანებთან უცებ ვერ ვისხნები. ჯერ ვაკვირდები, ვსწავლობ და როდესაც საერთოს აღმოვაჩენ თვისებებსა თუ აზროვნებაში, მერე ვუახლოვდები. ვიცი, ცოტა რთული იქნება ამერიკაში გაზრდილ გოგონასთან მალევე საერთო ენის გამოხატვა, მაგრამ ყველანაირად ვეცდები, რადგან მე ეს სასიცოცხლოდ მჭირდება. თუ დავიმსახურებ, ოჯახს შეუძლია, კიდევ ერთი წელი გამიგრძელოს მეურვეობა, მაგრამ უნდა ჩამოვიდე და მერე ისევ წავიდე. ვნახოთ, ცხოვრება გვაჩვენებს და თუ ეს ასე არ მოხდა, მე ყველა ღონეს ვიხმარ და შევეცდები მთელი ძალით, რომ უცხოური უმაღლესი განათლების გრანტი მოვიპოვო სკოლის დამთავრების შემდეგ. ამას დიდი ძალისხმევა დასჭირდება, მაგრამ მე ჩემს მაქსიმუმს ჩავდებ ამ მიზნის მიღწევისათვის.

- რას ფიქრობ, რა მნიშვნელობა აქვს უცხოეთში სწავლას?

დღესდღეობით პრივილეგიად ითვლება უცხოური განათლება. ამ ორი კლასის ამერიკაში გავლა იმიტომ მინდა, რომ იქ არის პროფესიული არჩევითი კლასები და ეს იძლევა საფუძველს, ძლიერი პროფესიონალის ჩამოყალიბებისათვის. მაგალითად, მე იურიდიული განათლების მიღება მინდა. მინდა, მაღალი კვალიფიკაცია მიქონდეს.

- ძალიან შორეული ამბავია, მა-

გრამ... დაბრუნდები? გიფიქრია ამაზე?

დარწმუნებით ვერ ვიტყვი, ალბათ... იმედია, იმდროისთვის საქართველოში უკეთესი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა იქნება. ეს ბევრად განაპირობებს ახალგაზრდობის საქართველოსკენ შემობრუნებას!

- დღეს რაში ხედავ შენს მისიას ამერიკაში?

რა თქმა უნდა, მე ჩემი პროგრამა მაქვს-გაგაცნო ჩემს გარემომყოფებს იქ, ოკეანის გაღმა, შორეულ ამერიკაში, ჩემი პატარა ქვეყანა, მისი მდიდარი წარსული ტრადიციები, კულტურა, ხელოვნება, კულინარია.

ამისთვის საგანგებოდ ვემზადები. ზედმინეწით ვსწავლობ საქართველოს ისტორიას, წიგნებსაც წავიმძვარებ. ამ თემებთან მიმართებაში გაემართავ პრეზენტაციებს. მართალია, სიმღერა არ გამომდის, მაგრამ ქართულ ცეკვებს ვახერხებ, ცოტ-ცოტა ვხატავ კიდევ. ამ შესაძლებლობებს გამოვიყენებ... ბევრი რამით შეიძლება გააოცო ისინი-ჩვენი დამწერლობა, ქრისტიანობა, თამარი, დავითი, დემეტრე თავდადებული... ფიროსმანი, ქართული მრავალხმიანობა, სუბიმილიები... ჩვენი ხალხის ევროპული მისწრაფებები... რამდენია მოსაყოლი, მთელი წელი კი არა, მთელი სიცოცხლე არ გეყოფა...და ერთიც, ბედნიერი ვიქნები, თუ მეც გავხდები ერთ-ერთი გამკვლევი სხვა ბავშვებისთვის, როგორც ჩემი მამიდაშვილი ნანო გახდა ჩემთვის მიზნის აღმოჩენის საშუალება!

-წარმატებებს გისურვებ, პატარა ქალბატონო, შენ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ და მიხარია, რომ გყოფნის გონიერება და ასე ნათლად ხედავ შენს მომავალს - მიზნებს და გეგმებს. სურვილების ასრულებას გისურვებ, შუქია, წყალობა არ მოგაკლოს უფალმა.

ძვირფასო მკითხველო, ახლა კი მოდით, მოუყვინოთ, როგორ ახასიათებენ შუქიას მისი მასწავლებლები:

ბიზ ნაურაშვილი, სამრეკლოს სკოლის პედაგოგი, კლასის დამრიგებელი: შუქია ჩვენს სკოლაში მეცხრე კლასიდან შემოგვიერთდა. ვიცოდი, რომ კარგად სწავლობდა და მონესრიგებული ბავშვი იყო, მაგრამ, მისმა გაცნობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ასეთი მოსწავლე იშვიათად თუ შეგვხვდება და ბედნიერია ის კლასიც, ის ოჯახიც და ის საზოგადოებაც, სადაც შუქია და მისნაირები იზადებიან და იზრდებიან. მასზე საყვედური არც ერთი მასწავლებლისაგან არ მომისმენია. მშვიდი, განონასწორებული, თავისი უნარებისა და წარმატებების გამო აბსოლუტურად არ არის გაყოყნებული-გამეტირებული. (როგორც ბევრს ემართება ხოლმე), რაც მას უფრო მეტ ღირებულებას მატებს. მეგობრებისა და თანაკლასელებისთვის



თბილი და მოსიყვარულეა, თავადაც ყველას ძალიან უყვარს. ჩვენ მთელი გულწრფელობით გავიხარეთ, როდესაც მან გრანტი მოიპოვა. გვჯერა, რომ ცხოვრების ყველა ეტაპზე ის წარმატებული იქნება. მთელი კლასის სახელით ბედნიერ მგზავრობას ვუსურვებთ, სიყვარულსა და პატივისცემას ვატანთ საგზოდად ჩვენს საამაყო გოგონას!

ნაირა შირაშვილი, დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი: შუქია გიგაური მოსწავლეთა იმ კატეგორიას ეკუთვნის, ვინც არასოდეს დაგავინწყდება. რვა კლასამდე ჩვენს სკოლაში სწავლობდა და გამოირჩეოდა ნიჭიერებით, მიზანსწრაფულობით, შრომისმოყვარეობით. სულ პატარაობიდან ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიეღო ზოგადად და არა მხოლოდ რომელიმე საგანში. დღეს შემიძლია ვთქვა, რომ ეს 16 წლის მოზარდი განათლებული ადამიანია. ძალიან მიხარია და მემამყება, რომ მან მიზნად დაისახა და, თითქმის დამოუკიდებლად, ზედმინეწით მაქსიმუმს მიაღწია ჩემი საგნის-ინგლისური ენის სწავლაში. ნიჭიც მოსდევდა და მცდელობაც, ჯერ კიდევ დაბალ კლასებში წარმოუდგენელი სიზუსტით შეეძლო ნაკითხულის გაგება, გააზრება, ახალიზი და მისი გადმოცემა. სასაუბრო ენა და საუბარი სულ სხვა რამ არის, თხრობა - ეს სხვა შესაძლებლობაა! მართალია, მეცხრე კლასიდან ის სხვა სკოლაში გადავიდა, მაინც სულ თვალყურს ვადევნებდი. ძალიან გამიხარდა გრანტი რომ მოიპოვა. არ გამეკვირვებია, ამას ველოდი კიდევ. ცოდნა-განათლებასთან ერთად ის შესანიშნავი ადამიანია - მშვიდი, განონასწორებული, კეთილი, თავმდაბალი... ერთი სიტყვით, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ის უკვე შემდგარი, როგორც პიროვნება და მზად არის ახალ გარემოსთან ადაპტირებისათვის. ვუსურვებ წარმატებებს და კიდევ ერთხელ ვაღიარებ-მიყვარხარ, შუქია, გაიხარე, სულ გამარჯვებული მენახე!

ბაპატი „პირაპის“ რედაქციაც გზას ულოცავს, წარმატებებს და ბედნიერ მომავალს უსურვებს ცხოვრების რთულსა და ბრძოლ გზაზე!

ნაირა გორაშვილი

მოსახლეობის საყურადღებოდ!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც მთელს საქართველოში საგრძობლად მოიმატა კორონა ვირუსის დადასტურებულმა შემთხვევებმა. ბოლო კვირის განმავლობაში ვირუსის შემთხვევები გაორმაგდა, წინა კვირასთან შედარებით (24 ივნისიდან-29 ივნისამდე დაფიქსირდა 10 შემთხვევა).

ვირუსის ძირითადი სიმპტომებია: ტემპერატურის მომატება, თავის ტკივილი, ყელის ტკივილი, ხველა, ცხვირიდან ჩამონადენი. სიმპტომების შემთხვევაში, ნუ ჩათვლით, რომ უბრალოდ გაციებული ხართ. მოზრდნით საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში და ჩაიტარეთ ტესტირება. რჩევა: ხალხმრავალ ადგილებში, ბანკებში,

სურპერმარკეტებში ატარეთ პირბადე და დამოშავეთ ხელი. გაუფრთხილდით საკუთარ თავსაც და ახლობლებსაც.

დადასტურების შემთხვევაში კონტაქტში მყოფი ყველა პირი (სიმპტომების შემთხვევაში) ექვემდებარება ტესტირებას.

მოსალოდნელია ზაფხულის ბოლოს შემთხვევების კიდევ უფრო მატება.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ პანდემია ჯერ-ჯერობით არ არის დასრულებულად გამოცხადებული.

გისურვებთ ჯანმრთელობას!
დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

მონაზონს ხარისხი აუმაღლდა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გადაწყვეტილებით, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიაში ხარისხის ამაღლება კიდევ ერთხელ განხორციელდა.

ამჯერად, ილია მეორემ ჩვენს ეპარქიაში ხარისხი ერთ სასულიერო პირს აუმაღლა. როგორც ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიაში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, წმინდა მიქაელ ყულოშვილის სახელობის მონას-

ტრის წინამძღვარი, მონაზონი თეოდორა ნაღრიპაშვილი ილუმენიას ხარისხში იქნა აყვანილი. ეს მონასტერი დედოფლისწყაროში ეპარქიის რეზიდენციაშია და აქვე, ეზოში იგეგმება ეკლესიის მშენებლობაც.

გასულ წლებშიც, პატრიარქმა ჩვენს ეპარქიაში მოღვაწე სასულიერო პირებს რამდენჯერმე აუმაღლა ხარისხი და მიანიჭა შესაბამისი ფერის ტარების უფლება.

მეგობრობა გზად და ხიდად...

გავიმეორებ ბრძენკაცის ნათქვამს: „არ დავიწყებ მოყვრისა, არაღეს გვიწამს ზიანსა, ვგომბ კაცსა აუგიახსა, ცრუსა და დაღატაკსა!“

„არ დაიწყებამ“ და დიდმა სიყვარულმა ორმოცდახუთი წლის შემდეგაც ერთმანეთს შეახვედრა სოფელ ჯაფარიძის საშუალო სკოლის ყოფილი კურსდამთავრებულები, შესანიშნავი ქალბატონები და ბატონები. როგორც სულწაბლი შოთა რუსთველი გემოდღვრავდა:

„სამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის სიყვარული გზად და ხიდად“.

რა არ შეუძლია მეგობრობასა და სიყვარულს... ადამიანი გააჩნია რამდენიმე გრძნობა, რომელთაგან ნომერ პირველი სიყვარულია. პავლე მოციქული ამბობდა: „თუ სიყვარული არა მქონდეს, არაფერი ვარ“. ამ აზრს განამტკიცებს დიდი ილიას სიტყვებიც:

„წუთისოფელი ასეა, დღეს დაღეს უფენიბა, რაც მტრობას დაუქცევია, „სიყვარულს უშენიბა“.

ჩემი აზრით, და არამარტო ჩემი, მთავარი შრომითი მოპოვებული ბედნიერებაა. ვუყურებთ ჩვენს აღზრდილებს, საუკეთესო პიროვნებებს და გული ზღვა სიყვარულსა და სიამაყეს ვერ იტევს. საამაყებლად ისიც გვეყოფა, რომ ჩვენს სკოლაში, ჩვენს შორის აღიზარდა საქვეყნოდ ცნობილი ბარიტონი ლადო ათანელი

(ათანელიშვილი). თანაკლასელების შეხვედრა დიდხანს, უშუალო გარემოში გაგრძელდა. ინტერვიუ ჩამოვართვი ბატონ ლადო ათანელს:

„უსაზღვროდ გახარებული ვარ ჩემს საყვარელ თანაკლასელებთან შეხვედრით. წლები მიდის, მაგრამ მიხარია, რომ ყველა ახალგაზრდულად და ლამაზად გამოიყურება. ეს ტრადიცია უნდა გაგრძელდეს. განსაკუთრებულად გამიხარდა, ბატონო ეგული, თქვენი ნახვა. ამ შეხვედრამ გამახსენა ჩემი ბავშვობის, ცუქობის წლები. ვუსურვებდი ჩემს თანაკლასელებს, უპირველესად, ჯანმრთელობასა და საამაურ ცხოვრებას.“

ახლა საქართველოში, ჩემს აგარაკზე ვიმყოფები. ყოველდღიური შრომა-საქმიანობა ჩემს ეზოში სუკეთესო განტვირთვის საშუალებაა, რათა უახლოეს მომავალში ახალი ენერჯით გავაგრძელო ჩემი შემოქმედებითი საქმიანობა. შეხვედრა დიდხანს გაგრძელდა, მოგონებებს მოგონებები ცვლიდა, მზიარულებას - მზიარულება. მსმენელები დაეტკბით ლადოს მიერ შესრულებული სიმღერებით. მეგობრებმა გაიხსენეს წლების წინ განვლილი ამბები, მოიგონეს უდროოდ წასული თანაკლასელებიც, დათქვეს მომავალი შეხვედრის თარიღიც.

ეგული ყოჩიაშვილი,
მათი ყოფილი სკოლის დირექტორი და მასწავლებელი.

სურსათის სააგენტო 600 კვ სორცი დალუქა

სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორებმა, ხორცისა და ხორცპროდუქტების 9 სარეალიზაციო ობიექტი შეამოწმეს. სამ ობიექტს, კრიტიკული შეუსაბამობებისთვის (დარღვეული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ეტიკეტების წესი და შენახვის პირობები) შეუჩერდა სანარმოო პროცესი, ასევე გამოვლინდა და დაილუქა 600 კგ-მდე მავნებელი მიჩნეული ხორცი.

„კრიტიკული შეუსაბამობები გამოვლინდა შემდეგ ბიზნესოპერატორებთან: შპს უნივერსალი, ს/კ 454407641 - ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება, გადამამუშავება და კონსერვირება, ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, რაფაელ აგლაძის N32, შენობა N38 (ტემპერატურული რეჟიმისა და ეტიკეტების წესის დარღვევა); ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა 1000 ლარის ოდენობით და შეუჩერდა სანარმოო პროცესი. ი/მ - ხორცის რეალიზაცია, ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ფიფიას N17 (გამოვლინდა ვადამსაღები სურსათი, ცხოველის ტანხორციდან არ არის მოცილებული განსაკუთრებული მაღალი რისკის მასალა, დაილუქა 600 კგ-მდე ხორცი); ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა 5000 ლარის ოდენობით და შეუჩერდა სანარმოო პროცესი; შპს კობა, ს/კ 435434558 - ხორცის რეალიზაცია, მის: ქ. თბილისი, ძმები ფიფიების N25 (გამოვლინდა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და ტემპერატურული რეჟიმების უხეში დარღვევა); ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა 1000 ლარის ოდენობით და შეუჩერდა სანარმოო პროცესი“, - ნათქვამია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

აფთიაქის კონტროლი ხორციელდება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ეკა ადამიას განცხადებით, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება მედიკამენტების ელექტრონული რეცეპტების საშუალებით გაცემა, აფთიაქების კონტროლი ხორციელდება. როგორც ადამიამ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ამ დროისთვის 600-ზე მეტი აფთიაქი დაჯარიმდა. ადამიას ინფორმაციით, ძირითადი დარღვევა მედიკამენტების ელექტრონული რეცეპტების გარეშე გაცემას ეხება.

რძიება ხდება. შემდეგ ისინი ისევ მონმდებიან. როგორც აღვნიშნე, 600-ზე მეტი აფთიაქი დაჯარიმდა. ჯარიმის ოდენობა ერთჯერადად 500 ლარს შეადგენს. რამდენჯერაც დარღვევა იქნება აღმოჩენილი, აფთიაქი ყოველჯერზე 500 ლარით ჯარიმდება. ძირითადი დარღვევა მედიკამენტების ელექტრონული რეცეპტების გარეშე გაცემას ეხება.

ფარმაცევტული სექტორის გამჭვირვალობისა და მოსახლეობისთვის მედიკამენტებზე დანახარჯის შემცირების მიზნით, სახელმწიფო ფარმაცევტული სექტორის რეფორმას ახორციელებს. აპრილიდან ელექტრონული რეცეპტების სისტემა შევიდა ძალაში, რომელიც მე-2 ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის და ფსიქოტროპული მედიკამენტების მხოლოდ ელექტრონული ფორმით გამოიწერას გულისხმობს, ის ქალაქმთავროებზე აღარ გაიცემა. ასევე, დაინერგა გენერული რეცეპტის სისტემა, რომელიც ძალაში 11 აპრილიდან შევიდა, — განაცხადა ადამიამ.

სარედაქციო ფოსტა

ლია წერილი გაზეთ „შირაქის“ რედაქციას!

მოგესალმებით, გვინდა გამოვეხმაუროთ თქვენს გაზეთში დაბეჭდილ სტატიას „მასწავლებლობა უპირველესი პროფესიაა“, რომელიც სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის N1 სკოლის ყოფილ დირექტორსა და პედაგოგს, ნიკოლოზ ნიკლაურს ეხება. ღია, გეთანხმებით, მასწავლებლობა უპირველესი პროფესიაა, რომელიც ბავშვებისადმი სიყვარულს და მათი სწორად აღზრდისათვის საფასურად „გულის სისხლსაც“ მოითხოვს ხშირად. სამწუხაროდ, ბოლომდე, პირნათლად, ამ მოვალეობას ყველა ადამიანი ვერ ასრულებს. მასწავლებელი თავად უნდა იყოს ზნეობრივი, მან რომ კარგი თაობის აღზრდა შეძლოს, რასაც ვერ ვიტყვით ნიკოლოზ ნიკლაურზე, რომელსაც საკმაოდ მძიმე ბრალდება-პედოფილია დაუმტკიცდა! ეს ჩვენი სკოლის ანმყოფისა და ისტორიისთვისაც შავი ლაქაა.

მანამდეც ხშირად მოსდიოდა ნიკოლოზ ნიკლაურს უთანხმოება მოსწავლეებთან. ავსიტყვაობა მას ჩვევაში გადაუვიდა. ბავშვები არ უთმენდნენ, მაგრამ ჩვენ, მასწავლებლები, ყველანაირად ვცდილობდით მათ შუა ჩადგომას და სიტუაციის განმუხტვას.

დიდხანს ვცდილობდით მთელი პედაგოგიური კოლექტივი, რომ ყველაფერი, რაც სკოლაში მანამდე ხდებოდა, არ გაგვეხმაურებინა და ჩვენს დიდ ოჯახში დარჩენილიყო, აქვე მოგვარებულიყო. მაგრამ არასრულწლოვანის წინაშე გარყვნილი ქმედების მცდელობის ფაქტმა, ეს შეუძლებელი გახადა!

ზემო ქედის N1 საჯარო სკოლის მასწავლებლების და მთელი კოლექტივის აღგვაშფოთა ნიკოლოზ ნიკლაურის რეაბილიტაციის მცდელობამ- სტატიამ საუკეთესო პედაგოგისა და პიროვნების წარმოჩენის ხარჯზე მოხდა მისი დანაშაულის გადაფარვა.

მიგვაჩნია, რომ სკოლაში ასეთი ადამიანები არ უნდა ხვდებოდნენ და ნებისმიერი დანაშაული, რა ასაკშიც უნდა ჩაიდინოს ის მასწავლებელმა, გამართლებული და ნახალი-სებულები არ უნდა იყოს!


„... ბოროტი არ იბადება არადროს კაცი. მის გაბოროტებაში გამზრდელი, მშობლები, თვითონ ჩვენა ვართ დამნაშავე. ბოროტება, სიგულფიცხე, ბრაზი, ბავშვის გულში ცოტ-ცოტობით იზდება, ამაში ჩვენი უყურადღებობა და ცუდი მაგალითია“- წერს ვაჟა-ფშაველა.

მამ რა გამოდის, თუ სკოლაში ბოროტებას წავახალი-სებთ, ფასეულობათა აღრევას ხელს შეუწყობთ, რა მაგალითის მივცემთ მომავალ თაობას?

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის N1 სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

მონატრება ჯიშპერ ალულიშვილი

უკვე ერთი წელი გავიდა, რაც უფლის წინაშე წარსდექი, ჩვენო ბერძნულმა. 92 წელი იცოცხლე, ყველგან სიკეთის და სიყვარულს თესავდი, ამიტომ მთელი რაიონი პატივისცემით გიხსენებს. სიცოცხლის ბოლომდე შეგყვავა შრომის უნარი, თუმცა, ვერაგმა კოვიდმა წაგვართვა შენი თავი. წუთისოფელს არავინ შეჩვენია ბოლომდე, ყველაფერი უფლის ნებაა, მთავარია, იცხოვრე ისე, რომ შენი ნაკვალევით ყველანი ვამაყოფთ.



რაიონში განთქმული ვეტეკი იყავი. შენი საქმიანობა გიყვარდა და ყოველთვის ამაყოფდი ამით. მეგობრები და თანამშრომლები, ვისთანაც კი შეხება გქონია, არასდროს დაგივინწყებენ, როგორც კეთილი, გულისხმიერი, ყურადღებიანი, შრომისმოყვარე და ალალ ადამიანს. შენმა თანამშრომელმა და ახლობელმა ადამიანმა, გულწრფელად გამოთხოვებისას ლექსი მოგიძღვნა:

„ვინ მოთვლის შენი კაცობის საზომს ეს მხოლოდ უფალს ძალუძს, ძვირფასო, მე მარტო ის ვიცი, ჩემო კეთილო, რომ გარდაცვლილი მეტადა ფასობ!...“

ძალიან გვეხატრები და გვაკლიხარ, ძვირფასო მამა, პაპა, და მუულებე, ყველასთვის საყვარელო ადამიანო. ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული. დაე, ჩვენმა ანთებულმა სანთელმა უფლისკენ მიმავალი გზა გაგინათოს. უფალს ებარებოდე. გვიყვარხარ!

შენი მუულებე, შვილები, შვილიშვილები.

ანსამბლ „ქიზიყის“ წარმატება თურქეთში

არბოშიკისა და ოზანის კულტურის სახლებთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ქიზიყი“ თურქეთში გასტროლი წარმატებით დაასრულა. როგორც ანსამბლის ხელმძღვანელმა, ქორეოგრაფმა თამაზ ლვალაძემ განუცხადა, მოცეკვავეებმა საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე ქართული ცეკვები წარადგინეს, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორული ანსამბლებიც მონაწილეობდნენ. ლვალაძის განმარტებით, ფესტივალის ორგანიზატორებისგან ლაურეატის ნოდება მიიღეს.

როგორ მოხვდა ანსამბლი „ქიზიყი“ თურქეთში გამართულ ფესტივალზე, მაშინ, როდესაც მხოლოდ ორი ქართული ანსამბლი გაემგზავრა, რა სირთულეები ახლდა გასტროლს და რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ ჩვენი მოცეკვავეები, ამასთან დაკავშირებით განუთქმუნა ანსამბლის ქორეოგრაფს თამაზ ლვალაძეს ესაუბრა:



თამაზ ლვალაძე: „საქართველოში მოქმედ ორგანიზაცია „ახალგაზრდა შემოქმედთა ფედერაცია“ მიიღო მონაწილეობა თურქეთიდან და მათი ხელშეწყობით საერთაშორისო „ფოლკფესტივ“ გაიგზავნა სულ ორი ანსამბლი საქართველოდან. საბედნიეროდ, მათ შორის აღმოჩნდა ჩვენი ანსამბლი „ქიზიყი“. გასამგზავრებლად საჭირო ყველა დოკუმენტაციისა და საჭირო თანხების მოგროვებაზე მოცეკვავეთა მშობლებმა იზრუნეს. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა თითოეულ მათგანს გვერდში დგომისთვის, მათი დიდი ძალისხმევით შედგა ეს გასტროლი. მართალია, თურქეთის ქალაქ დიდიმში კონკურსი არ იყო, ეს ფოლკლორული ფესტივალი იყო, მაგრამ ჩვენმა გამოსვლებმა დიდი მოწონება დაიმსახურა, როგორც ორგანიზატორებში, ასევე მონაწილე სტუმრებშიც.“

ამ ბავშვების სახით იქ მე ვხედავ მებრძოლები, რომლებიც მიუხედავად საკუთარი ჯანმრთელობის არასახარბიელო მდგომარეობისა, მზად იყვნენ საკუთარი ქვეყნის საგანძობი ეჩვენებინათ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებისთვის. დიდი ერთუზიანობა იგრძნობოდა თითოეულ მათგანში. ვფიქრობ, ამ მხრივაც გამოავლინეს დიდი გამძლეობა და ვაჟკაცობა. მიუხედავად იმისა, რომ ვაპირებდი სიცხიანი ბავშვების ცეკვიდან გამოთიშვას, მათ დიდი წინააღმდეგობა გაიმინეს და მოინდომეს სცენაზე ასვლა.

ვიცი, რომ ბავშვებს ადაპტაცია გაუჭირდა და ბევრ სირთულეს წაწყვიტა...
- სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ავტობუსით მგზავრობამ ცუდად იმოქმედა მოზარდებზე. 4 ბავშვის გარდა, ყველას მოულოდნელად სიცხე მისცა. აღმოჩნდა, რომ უმრავლესობის ტემპერატურა 39 და 40 გრადუსზე ადიოდა და ძალიან გვანერვიულეს. რაც შეეხება იქ მკურნალობას, თან გვახლდა მედიცინის მუშაკი, რომელმაც დიდი ძალისხმევა ჩადო ამ ბავშვებში.

მი. გვექონდა საქართველოდან წაღებული მედიკამენტები და ნაწილიც ადგილობრივ აფთიაქებში შევიძინეთ. ბავშვებს მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ასეთი მებრძოლი ხასიათისთვის. 39 და 40 გრადუსით იდგე სცენაზე და უცხო ქვეყნის მაყურებლისთვის ეფექტურად იცეკვო, დამერწმუნეთ, ეს იშვიათი შეუძლია. მეამაყება, რომ ასეთი იშვიათი ბავშვები მყავს. ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო მშობლებს განუთქმუნებელი მზრუნველობისთვის. გვერდიდან არ მშორდებოდნენ. ჩვენ აქამდე ერთმანეთს არ ვიცნობდით, მაგრამ ამ რთულმა დღეებმა ისე დაგვაახლოვა და ერთ მუშტად შეგვკრა, რომ ვირუსით გამოწვეული გართულებები დავძლიეთ. რაც მთავარია, უფლის ნყალობით ყველაფერი კარგად დამთავრდა. ეს იყო გამოცდა და, ვფიქრობ, წარმატებით ჩავაბარეთ. რაც მთავარია, მშვიდობით დაბრუნდით, წარმატებული გასტროლი გვექონდა და ყველა ბავშვი მშობელს ჩავაბარეთ. ეს იყო გაკვეთილი, რომელმაც ძალიან ბევრი რამ მასწავლა. უფრო ძლიერი და ამაყიც გამხდა. დიდი მადლობა ყველა გულმემატიკეარს და ექიმებს, ვინც საქართველოდან რჩევებს გვაძლევდა.

- თავისუფალ დროს როგორ ატარებდით?

- ძირითადად სასტუმროს ეზოში აუზ-მა მოხიბლა ბავშვები და აღარ მშორდებოდნენ, მაგრამ თავისუფალ დროს ზღვის სანაპირო დავათვალიერებდი. ცხადია, გაცივებით ადგილობრივ კერძებს, კულტურას, დავათვალიერებდი ქალაქი. ქუჩებში მსვლელობა საქართველოსა და დედოფლისწყაროს დროშების თანხლებით გვექონდა და ეფექტური გამოდგა. სიტბო იგრძნობოდა მასპინძელი ქალაქის მაცხოვრებლების მხრიდან. ზოგადად, უცხო ქვეყანაში მოგზაურობა და ამგვარი ფესტივალები, ბავშვს აძლევს საშუალებას აჩვეოს საკუთარი შესაძლებლობები. მეტად წარმოაჩინოს საკუთარი თავი და გაიზარდოს შემოქმედებითად. გარდა იმისა, რომ უცხო ქვეყნის კულტურას და ტრადიციებს ეცნობა, ასევე ეჩვევა დამოუკიდებლობას.

-სამომავლო გეგმების შესახებ გვიამბეთ...

- ახლა ვემზადებით ქობულეთის გასტროლისთვის, სადაც მონაწილეობა მივიღებთ საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ფესტივალში. ცოტა დრო დაგვრჩა და ვეცდებით ეფექტურად მოვემზადოთ, რომ იქაც კარგი შედეგი ვაჩვენოთ.

- პანდემიის კვსაზე წელია, სასწავლო პროცესი სრულფასოვანი ვერ კიდევ არ არის, ამ ფონზე როგორ ახერხებთ სათანადო მომზადებას?

- პანდემიის დროს ჩვენ საკმაოდ ნაყო-



ფიერად ვიმუშავებთ. 2021 წელს გვექონდა გასტროლი ქობულეთში, სადაც წარმატებით გამოვიდნენ და ქორეოგრაფს გადასცეს ამადარის ნოდება. შემდეგ ამავე წლის დეკემბერში ბაკურიანში გვექონდა გასვლა. რაღაც პერიოდს განერულებული ვიყავით. მაგრამ, პანდემიის პირობებში, როცა ჯგუფებს მუშაობის გაგრძელების საშუალება მიეცათ, ჩვენ რეგულაციების მაქსიმალური დაცვით გავაგრძელებთ მუშაობა. მომავლელი ინფიცირების შემთხვევების დროს, ჩვენი ინიციატივით, წერტილოვან დაკეტვებსაც ვაკეთებდით ფილიალებში, რათა ბავშვები და მათი ოჯახები დაგვეცვა. დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრი და მისი ხელმძღვანელობა საქართველოსა და დედოფლისწყაროს დროშების თანხლებით გვექონდა და ეფექტური გამოდგა. სიტბო იგრძნობოდა მასპინძელი ქალაქის მაცხოვრებლების მხრიდან. ზოგადად, უცხო ქვეყანაში მოგზაურობა და ამგვარი ფესტივალები, ბავშვს აძლევს საშუალებას აჩვეოს საკუთარი შესაძლებლობები. მეტად წარმოაჩინოს საკუთარი თავი და გაიზარდოს შემოქმედებითად. გარდა იმისა, რომ უცხო ქვეყნის კულტურას და ტრადიციებს ეცნობა, ასევე ეჩვევა დამოუკიდებლობას.



გვაქვს კიდევ ერთი ახალი ფილიალი დედოფლისწყაროში. წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატი ახალი დაწყებული გვაქვს მუშაობა. 2022-2023 წლების ფესტივალში უკვე ამ სკოლის მოსწავლეებიც შემოვიერთდებოდნენ. როგორც შიდა კონცერტებზე, ასევე საზღვრებს გარეთაც. უახლოეს მომავალში ვეგეგმავთ საანგარიშო სოლო-კონცერტს წნორის და დედოფლისწყაროს მაყურებლებისთვის. იმედი მაქვს, შევძლებთ. რადგან ოზანში და არბოშიკი ჯერჯერობით სათანადო რაოდენობა არ იყო, მოგვინია ამ ბავშვების ერთად თავმოყრა და რეპეტიციები ერთ დარბაზში, ქალაქ წნორში მიმდინარეობდა. მათ ვადადგილებზე თავად ანსამბლი ზრუნავდა საკუთარი ტრანსპორტით. მზადებას მთელ დღეს ვუთმობდით. რეპეტიციები დილის 10-დან საღამოს 8 საათამდე მიმდინარეობდა ერთი კვირის განმავლობაში. ვფიქრობ, შედეგი ვაჩვენებთ.

გასტროლებზე მიღებული შთაბეჭდილებები, ემოციები და შეფასებები ანსამბლში ჩართული ბავშვების მშობლებმაც გაგვიზიარეს:

ლია ბაბიაშვილი, მშობელი: „4 წელია, სოფ. არბოშიკში ფუნქციონირებს ანსამბლ „ქიზიყის“ სტუდია თამაზ ლვალაძის ხელმძღვანელობით. ანსამბლის წევრები არიან დედოფლისწყაროს და სიღნაღის რაიონის ბავშვები. წელს მონაწილეობა მიიღეს თურქეთის ქალაქ დიდიმში გამართულ ფოლკლორულ ფესტივალში. მონაწილეობას იღებდა 6 ქვეყანა: თურ-

ქეთი, მოლდოვა, მაკედონია, ბულგარეთი, ირანი, საქართველო. ძალიან მთამბეჭდავი და ემოციური იყო ჩვენი ბავშვების გამოსვლა. მაყურებელმა განსაკუთრებული ოვაციებით გამოხატა მოწონება. ამ შედეგისთვის თავდაუზოგავად იმრომეს ქორეოგრაფმაც და ბავშვებმაც. მადლობა მათ ასეთი შედეგისთვის. ეს მოგზაურობა ეგოსის ზღვის სანაპიროს ულამაზეს ქალაქში ბავშვებისთვის დაუფიქროს მთაბეჭდილება იქნება.“

ირმა შოშიაშვილი, მშობელი: „თაზო ლვალაძემ ჩვენთან მუშაობა 4 წლის წინ დაიწყო და მინდა ვთქვა, რომ სტარტი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ბავშვებმა პირველივე წელს პროფესიონალის სტანდარტს იცეკვეს „აჭარული“. შემდეგ იყო მცხეთა, გორი, ქობულეთი. წელსაც უკვე დაწყებულია მზადება ქობულეთის ფესტივალისთვის. ეს ფესტივალი კი ჩვენთვის უფრო მეტად ემოციური აღმოჩნდა. ძალიან ემოციური გახსნა, თუ არ ვცდები ათი ქვეყანა იღებდა მონაწილეობას, ყველა ეროვნული ტანსაცმლით და დროებით. ჩვენ ორი დროშა მიგვქონდა - საქართველოს ეროვნული დროშა და უშუალოდ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის. ბავშვები თან საქართველოს შიმს მღეროდნენ და ასე მოიარეს ქალაქის ქუჩები. მიუხედავად გრძელი და დამლელი გზისა, ბავშვები მაინც ძალიან შემართებით იყვნენ, ცეკვა ჰქონდათ ისეთი, რომ ბოლოს დროშის აფრიალებისას იხელა ოვაციები წამოვიდა მაყურებლიდან, არც ველოდი. მეორე ცეკვას ისე ელოდა ხალხი, ყველა იმას კითხულობდა, როდის იქნებოდა მათი გამოსვლა. სამახსოვრო პრიზი და მონაწილეობის სერტიფიკატი თავად დიდემის მერმა გადასცა ჩვენს ანსამბლს. მინდა აღვნიშნო, რომ კულტურის სამინისტროს წარმომადგენელიც ჩვენთან ერთად იყო და ყურადღებას ნამდვილად გვრძნობდით. თვითონ თაზოზე შემოიხილა გითხარა, რომ ის ძალიან მშრომელი, მოწინააღმდეგე, ყურადღებიანი, მზრუნველი და პატიოსანი ადამიანია, ყველაფერს დებს ამ საქმეში. მას რომ შესაფერისი პირობები ჰქონდეს, უფრო მეტს მიაღწევდნენ. თავისი მანქანით მიჰყავს ბავშვები რეპეტიციებზე წნორში ყოველდღე. ამას ბევრი ვერ შეძლებდა. მადლობა მინდა გადავუხადო მას ასეთი შრომისთვის.“

ბაზიმი „შირაპი“ ულოცავს ქორეოგრაფთა ანსამბლ „ქიზიყის“ ქვეყნის საზღვრებს გარეთ მონაწილეობის ტიტის სახელით წარმატებულ გამოსვლას და უსურვებს კიდევ უფრო დიდ წარმატებას, მასურაბლოს სიმრავლესა და ერთგულ მხარდამხმარებლებს.

ილია მარტყოფლიშვილი
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

იყიდება!
კომპიუტერი, ფერადი ქსეროქსი, კონდიციონერი მერადი, ხის მერადი კარები, ბატიუტის დასაშუში აპარატი, ვენტელატორი (სასაწყობო მერონებისთვის), სარეცხის მანქანა (მალუქა). ტელ 555 56 78 77

ამინდი	დედოფლისწყარო
ორშაბათი 04.07 დღე 23°	ორშაბათი 06.07 დღე 28°
სამშაბათი 05.07 ღამე 14°	სამშაბათი 07.07 ღამე 16°
დღე 25°	დღე 29°
ღამე 15°	ღამე 17°
ორშაბათი 08.07 დღე 30°	ორშაბათი 09.07 დღე 30°
ღამე 18°	ღამე 18°
ორშაბათი 10.07 დღე 31°	ორშაბათი 11.07 ღამე 18°

გამომცემელი შპს „შირაპი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბანაშვილი (კორექტორი); ნათელა ზოსტაშვილი (ბულალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანძაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.